ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის
2022 წლის ა ნ გ ა რ ი შ ი

(2021წლის 10 დეკემბრიდან 2022 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2021 წლის 10 დეკემბრიდან 2022 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 6 (ექვსი) განცხადება. 4 დაკმაყოფილდა სრულად, 2 ნაწილობრივ;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან 3 (სამი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო 3 (სამი) შემთხვევაში - საქართველოს პარლამეტის წევრი;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან 5 (ხუთი) შემთხვევაში ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო ათდღიანი ვადა, რის თაობაზეც განმცხადებელს ეცნობა დაუყოვნელივ, წერილობით;

დ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა;

ე) სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე აკაკი სარალიძე;

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილების შემთხვევებში ადმინისტრაცია ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს;

ზ) ადმინსიტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაში საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება ავტომატურ რეჟიმში;

თ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან საანგარიშო პერიოდში საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ თავი III მოთხოვნათა დარღვევას და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია;

ი) ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია;

კ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.